№ 94
მაისის 4, შაბათი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 94
მაისის 4, შაბათი, 1092 წ.
1902

ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი

პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ღირს შვიდ მანეთად და ხუთ შაურად (7 მ. 25 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ზორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ. Редакція „Иверія“. ტელეფონი № 227.

გაზეთი „ივერია“,

რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე,

გადადის საკუთრებად **„ივერიის“** ამხანაგობის ხელში.

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც ამ წლის 1 მაისიდგან მოთავსებული იქნება სასახლის ქუჩაზედ, თავად აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზე ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

(10—5)

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წლიური საზოგადო კრება გადიდვა ხუთ მაისის, დღით კვირის, დილის ათი საათისათვის.

ამხ. მმარ. ნ. წერეთელი.
(6—6.—4)

ტფილისის სამარხი კასა

ვსთხოვთ ყველა დამფუძნებელ წევრთ „ტფილისის სამარხ კასისას“, (რომელთაც წესდებაზედ ხელი უწერიათ) **მობრძანდნენ ქართულ თეატრის დარბაზში კვირას, ხუთ მაისს, დილის 10 საათზედ,** სადაც დანიშნულია **საზოგადო კრება გამგეობისა** და **სარევიზიო** კომისიის წევრთა და მათ **ნაცვალთა ამოსარჩევლად** და აგრეთვე **კასის მოქმედების დაწყების შესახებ მოსალაპარაკებლად.**

რადგანაც ეს კრება მეორეა, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, მაინც კანონიერი იქმნება თანახმად წესდების 30—31 მუხლისა.

კრებაზედ წევრობის მსურველთაც შეუძლიანთ დასწრება.

(5—უ.—4)

შვილნი ახლად გარდაცვალებულის ქ. სიღნაღში თ. სვიმონ თომას-ძის ანდრონიკაშვილისა პატივისცემით მოახსენებენ მადლობას სიღნაღის მოქალაქეთ და ქართველ საზოგადოებას და ყოველ პირთა, რომელთაც შეამკეს მიცვალებულის კუბო გვირგვინებითა და ინებეს მისამძიმრება ტელეგრამებით ანუ წერილებით.

ქართული თეატრი

შაბათს, 4 მაისს, 1902 წ.
ქართულ დრამატიულ დასის-მიერ
ვლ. ალექსი-მესხიშვილის
მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
პირველად განახლების შემდეგ

I

ცხოვრების გმირი

დრამა 3 მოქმედ. კარეევისა, თარ. ზ. ჩიკვაიძისა.

II

ბედნიერი ცოლ-ქმრობა

ვოდ. 1 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, გვიშვილისა, კავთელი და სხვ. ბ-ნნი: ვლ. მესხიშვილი, გუნია, სოლომონიძე, შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე და სხვ.

დასაწყისი 8½ საათზედ.

რეჟისორი ვ. გუნია.

მზადდება „სამშობლო“.

ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი სთხოვს ამა მაზრის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ კვირას, 5 მაისს, დილის 10 საათზედ თავად-აზნაურობის

საგანგებო კრებაზედ

ტფილისის სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოში შემდეგ საგნების განსახილველად:

1) რა დანიშნულება მიეცეს და როგორ განაწილდეს საქართველოს თავად-აზნაურობისათვის უმაღლესად ნაბოძები 40 ათასი მანეთი მისის შვილების აღზრდისათვის მოსახმარებლად.

2) ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მორიგ საგუბერნიო კრებათა დანიშვნა მარტის მაგიერ დეკემბერში.

(1—340—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

კ. ი. გძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ნ. ზაპკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხნოვი. 7—7½ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон.

(წლ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

პ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე, ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფედოროვი—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

ნ. ტ. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

პ. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ხტ. ა. ვოინო—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა.

(წ.)

ჩვენის მოზარდ თაობის აღზრდის საქმე.

ყველამ ვიცით, რა დიდი ნაყოფის გამოღება შეუძლიან მოზარდ თაობის კარგ აღზრდას. ყველამ ვიცით, რომ ჩვენი ახალგაზდობა საშინელ გარემოებაში იზრდება, რის გამოც იგი ჰკარგავს ბოლოს-და-ბოლოს თავის სიყმაწვილის ენერგიას და ცოდნაზედაც მწყრალად ბრძანდება. ყველამ ვუწყით ჩვენის შვილების აღზრდის ანორმალური მდგომარეობა, მაგრამ ისიც კარგად ვუწყით, რომ ჩვენს საზოგადოებას დღემდის არა გაუკეთები-რა ამ დიდ-მნიშვნელოვან საქმის კეთილად მოწყობისათვის.

საშინელ სურათს წარმოადგენს ჩვენთა მოსწავლეთა მდგომარეობა. უმთავრესი რიცხვი მათი თავად-აზნაურობისა და სასულიერო წოდების შვილები არიან. იგინი ითმენენ შიმშილს, სიშიშვლეს, სიცივეს. ბევრი სიყრმითვე ირყვნება, რადგან ყურის-მგდებელი და მზრუნველი არავინა ჰყავს, და იმის მაგიერ, რომ ცოდნა შეიძინოს და სასარგებლო კაცი გამოვიდეს, ხდება საზოგადოების მავნებელ წევრად.

ნუ-თუ უბრალო სიბრალულის გრძნობაც კი არა აქვს ჩვენს გულს?! ნუ-თუ იმდენად გაგვიქვავდა და გაგვიცივდა გული, რომ გულგრილად შეგვიძლიან ვუყუროთ ამ საცოდავ ჩჩვილთა სულიერ და ხორციელ დაღუპვას?! ნუ-თუ არ მივეშველებით ამ უძლურ უმანკო არსებათ, არ დავიხსნით, არ გამოვიყვანთ საშინელ მდგომარეობიდან, რომელშიაც დღეს ბედს ჩაუგდია?! არა, არ მჯერა, რომ ქართველ კაცს გული ასე გაჰქვავებოდეს, არ მჯერა, რომ ის კეთილშობილი სული, რომელიც არის ნიშნობლივი თვისება ქართველის ერისა, ისე გამქრალიყოს, რომ მისი ნასახიც-კი აღარ დარჩენილიყოს.

საუკეთესო სისტემა აღზრდისა ის არის, როდესაც შვილები თავისს მშობლების ხელმძღვანელობით იზრდებიან, რადგან ვერავინ ვერ უგდებს ყმაწვილს ყურს ისე, როგორც მშობელი. მაგრამ, რადგან შეუძლებელია სოფლელი აზნაურები და მღვდლები ქალაქებში გადავასახლოთ, ამიტომ, ცხადია, სხვა ღონეს უნდა მივმართოთ. ეხლანდელი ეგრედ წოდებული სახლის პატრონები, რასაკვირველია, სრულიად არა ჰზრუნავენ მოსწავლეთა ზნეობისა და ჯანმრთელობისათვის. მათი სურვილი მხოლოდ ფულია, ექსპლოატაცია ამ საცოდავ, ბავშვებისა. იგინი იკვებებიან ამათგან გამონაწოვარ წვენით. საშინელი ბრალდებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, სამართლიანი კია.

მაშ, რაღა ღონე დაგვრჩენია? ერთად-ერთი საშუალებაა, ჩემის ფიქრით, საზოგადო თავ-შესაფერი.

ყოველ საზოგადო თავშესაფარს, პანსიონს, დიდი ნაკლი აქვს. საზოგადოდ, პანსიონში ილახება ბავშვის ზნეობა, იხუთება თავისუფლება. მაგრამ, ჩემის ფიქრით, კარგად მოწყობილ თავშესაფარში შესაძლებელია ამ ნაკლის თავიდგან აცილება. თავშესაფარი არ უნდა იყოს არც კერძო კაცისა და არც ბიუროკრატიის ხელში. პირველ შემთხვევაში უფრო ხშირად ერთად-ერთი ზრუნვა გამგებლისა ფულია, მეორე შემთხვევაში სუფევს გულ-გრილობა, ინდიფფერენტიზმი. თავ-შესაფარი უნდა იყოს საქველ-მოქმედო საზოგადოების ხელში, რომლის წევრებად ბავშვების მშობლებიც უნდა იყვნენ.

აუცილებლად საჭიროა დაარსდეს ჩვენში ახალ-თაობის აღმზრდელთა საზოგადოება, ძლიერი კოოპერაცია, რომელსაც ფესვები გადგმული ექმნება მთელს ერში და საგნად ექმნება ყველაზედ უფრო დიდი საშვილიშვილო, საერო საქმე, მოზარდის თაობის აღზრდა.

გავიმეორებ, საზოგადოება უნდა იყოს ქველ-მომქმედი, მისი მოღვაწეობა უნდა იყოს უანგარო და არა დივიდენდებზედ დამყარებული. წევრთა წლიური გადასახადი, საქველმოქმედო შემოწირულობანი, საღამოები, კონცერტები და თვით შეგირდების მშობელთაგან თვიურად შემონატანი ფული,—აი წყარო თავშესაფარის არსებობისა.

საზოგადოება აირჩევს თავშესაფარისათვის ისეთ ზედა-მხედველთ, რომელთაც, ფულს გარდა, პირდაპირი მოწოდებაც ექმნებათ თავის დიდ-მნიშვნელოვან მოღვაწეობისადმი, სავსებით შეგნებული ექმნებათ თავის მოვალეობის მნიშვნელობა, რომელნიც ისე არ შეჰხედვენ თავის სამსახურს, როგორც ძალ-დატანებით ნაკისრ უბრალო რამ ოფიციალურ მოვალეობას, როგორც მხოლოდ და მარტო თბილ, გამოსარჩენ ადგილს, და მთავარ საზრუნველ საგნად აღზრდას დაისახავენ და არა ფულს. თვით საზოგადოება სასტიკ კრიტიკას გაუწევს მათს მოღვაწეობას. პედაგოგი თავისუფალი უნდა იყოს, მართალია, მაგრამ არავის მოქმედებას არ ეპირვება კრიტიკა ისე, როგორც პედაგოგისას. საზოგადო კრებანი საზოგადოების წევრთა, კამათი ამ თუ იმ საპედაგოგო საგნის შესახებ, აზრთა საჯაროდ გამოქვეყნება და აღებ-დალება, ყოველივე ეს იქმნება თავდები, რომ უნიჭოს, უვიცს და გულ-გრილ პედაგოგს ადგილი არ ექმნება თავ-შესაფარში.

მეორე მიზეზი მოსწავლეთა ზნეობის დაცემისა არის ცნობის მოყვარეობის დაუკმაყოფილებლობა.

ჩააგდეთ რომელიმე არსება ვიწრო გალიაში და ნუ მისცემთ საძრაობას. ასეთ უძრაობას შედეგად სხეულის ნაწილების დაუძლურება და დამცირება მოჰყვება, სიცოცხლის ძალნი უბრალო ქიმიურ და ფიზიკურ ძალებად გარდიქცევიან. ჩააგდეთ ადამიანი ზნეობის შემხუთველ საპყრობილეში; ზნეობის ძალნი უზნეო ძალებად გარდიქცევიან. შეხუთეთ ადამიანის გონება, დააბრკოლეთ მისი ზრდა; აუცილებლად თავს იჩენენ ქვენა გრძნობანი, დაეცემა ზნეობა. ადამიანის სული წარმოადგენს ერთ მთელს, რომლის ნაწილების გაქრობა შეუძლებელია. თუ კარგი თვისებანი არ განავითარეთ, უთუოდ ავი თვისებანი იჩენენ თავს.

აქაც საყოველთაო კანონი სრულდება: ენერგია არ ისპობა, არამედ მხოლოდ იცვლება. თუ რომელსამე ძალს ერთგან გადაღობებით, გზას შეუკრავთ, იგი სხვა სახით სხვაგან გაიკვლევს გზას და სხვა სახით გამოცხადდება. ეს საერთო პრინციპი მსოფლიოსი, რომელიც აღსარებულია ბუნების მეტყველებაში, საპოლიტიკო ეკონომიაში და სხ., ხშირად ავიწყდებათ პედაგოგებს. მათ ჰგონიათ, რომ შეიძლება ყმაწვილმა გონება არ ავარჯიშოს, და მისი ზნეობა-კი დაცულ იქმნას. ჰგონიათ, რომ შეიძლება სულიერ ძალთა სრულიად, უკვალოდ გაქრობა. გავიმეორებ, ენერგია არა ჰქრება. თუ ყმაწვილის გონება არ ავარჯიშე, მისი ფანტაზია უქმდება, ზნეობა ეცემა.

როდის შეიძლება გონების ვარჯიში, თვით მოქმედება? მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი, ყმაწვილი იქნება თუ ხნიერი, სწავლობს იმას, რაც მის ცნობის მოყვარეობას აკმაყოფილებს. თუ ყმაწვილს დღე და ღამ ისეთ რასმე ასწავლიან, რაც არ ახალისებს, მისი გონება არ მოქმედებს, არ მოძრაობს, იგი თუთიყუშივით სწავლობს, მისი სულიერი ენერგია შეხუთულია და, ამიტომ, მისი ზნეობაც დაცემულია.

რა უფრო აკმაყოფილებს ყმაწვილის ცნობის-მოყვარეობას, რა უფროა მისი სულიერი მოთხოვნილება? ყველაზე მეტად ბუნების-მეტყველება. რაც უფრო ახალგაზდაა ყმაწვილი, იმდენად უფრო ეხალისება ბუნების შესწავლა. საზოგადო მეცნიერების შესწავლის ხალისი მხოლოდ მოწიფულობის დროს ჩნდება. მაშასადამე, საჭიროა, რომ ზედამხედველთა შორის მუნების-მეტყველნიც იყვნენ; საჭიროა საბუნების-მეტყველო კაბინეტი და მუზეუმი, აუცილებლად საჭიროა ექსკურსიების გამართვა ქალაქს გარედ, რადგან ცოცხლად ბუნების შესწავლა, რაც ასე ახალისებს ყმაწვილის გონებას, მხოლოდ აქ შეიძლება. აუცილებლად საჭიროა აგრეთვე ბაღი, რომელიც, ცნობის-მოყვარეობის გარდა, ხორციელ მოთხოვნილებასაც დააკმაყოფილებს, ე. ი. მოთხოვნილებას მუშაობისას, მოძრაობისას.

მესამე მიზეზი ზნეობის დაცემისა არის დაუკმაყოფილებლობა ფიზიკურ ვარჯიშობის მოთხოვნილებისა. ყოველმა ჩვენთაგანმა კარგად იცის, რომ უქმად-მყოფობა არის მიზეზი მრავალ-გვარ ნაკლულოვანებათა და ბოროტ-მოქმედებათა. სიცოცხლე მოძრაობაა, და, ვინც სიცოცხლის ამ პრინციპს შეჰლახავს, დაარღვევს, სასტიკად დაისჯება და ფიზიკურ ვარჯიშობისათვის-კი ბაღში მუშაობას ვერავითარი გიმნასტიკა, ვერავითარი თამაში ვერ შეედრება. საკვირველია, პედაგოგები ხშირად ლაპარაკობენ ბავშვების თამაშობის შესახებ და ბაღში მუშაობას-კი უფრო ნაკლებად ახსენებენ. რით სჯობია ბაღში მუშაობა ყოველ გვარ გიმნასტიკას და თამაშს? ჯერ ერთი მით, რომ ადამიანს, მეტადრე ბავშვს, უყვარს ბაღი, მისი მცენარეები, მისი ბუნება; მაშასადამე, ბაღში მუშაობას თან მოჰყვება ისეთი ხალისი, სიამოვნება, რომელიც აკლია სხვაგვარ ფიზიკურ ვარჯიშობას. მეორე, ბაღში მუშაობა აზრიანია. შეგირდი უყურებს თავისს მუშაობას არა მარტო როგორც გიმნასტიკას, არამედ აგრეთვე, როგორც სასარგებლო საქმეს, ამიტომ უფრო მუყაითად მუშაობს, უფრო არ ერიდება გიმნასტიკას. ამიტომ, საჭიროა თავ-შესაფარში სწარმოებდეს არა მარტო ბაღოსნობა, არამედ, საზოგადოდ, რაციონალი მეურნეობა გამოცდილ აგრონომის ხელმძღვანელობით.

ამავე სურვილის მისაღწევად საჭიროა ზამთარში სხვა-და-სხვა სახელოსნოები, რომელთაც აგრეთვე ნივთიერ სარგებლობის მოტანა ექმნებათ აზრად.

თავშესაფარისათვის აუცილებლად საჭირო იქმნება აგრეთვე ექიმი, რომელიც კვირაში ორჯელ მაინც გასინჯავს შეგირდებს, რომ თუ ვინიცობაა ვისმე რამ ფიზიკური ნაკლი აღმოაჩნდა, დროზე მიიღოს შესაფერი ღონისძიება.

აი, ამგვარ თავშესაფარში შეგვიძლიან აღვზარდოთ გონებით მაღალი, ზნეობით მხნე და

ტანით ჯან-მრთელი ახალ-თაობა.

რომ სურვილს მივაღწიოთ, ყველაფერი, რაც ზემოდ ნახსენებია, საჭიროა იქმნას აღსრულებული. თუ თავშესაფარს ერთ-ერთი ხსენებული ვითარებათაგანი დააკლდა, იგი თავისს დანიშნულებას ვერ მიაღწევს. თუ იქნება, უნდა იყოს უნაკლულო, თუ არა-და, უმჯობესია, სულ არ იყოს.

დროა ჩვენმა საზოგადოებამ მიაქციოს მოზარდ თაობის აღზრდას ყურადღება. დროა დაარსდეს რაციონალი თავშესაფარი, უპირველესად-კი შესდგეს საზოგადოება ამ დიდ-მნიშვნელოვან საქმის განსახორციელებლად.

ვასილ წერეთელი.

ტფილისი

— როგორც შევიტყევით, „ქართ. შორის წერა-კით. გამ. საზოგადოების“ სასარგებლოდ ჩვეულებრივი ბაზარი გაიმართება ამა მაისის 25 და 26 ალექსანდრეს ბაღში. ვისაც დახმარებისა და შემწეობის აღმოჩენა ჰსურს, ნივთები და ფული უნდა გაუგზავნოს კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას (ნიკოლ. ქუჩა, № 21), ან წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიას (თავად-აზნაურთა ქარვასლა).

— მთავრობამ გადასწყვიტა, რკინის გზებზედ მგზავრობის დროს მართლ-მადიდებელ სამღვდელოებას ისეთივე შეღავათი მიანიჭოს, როგორიც ოფიცრებსა აქვთ. ამიერიდგან მღვდლებს უფლება აქვთ მესამე კლასის ბილეთით მეორე კლასში იმგზავრონ.

— ხვალ, 5 მაისს, შემდეგის მაზრების თავად-ზნაურთა კრებები მოხდება: ბორჩალოსი, გორისა და თელავ-სიღნაღისა. პირველ მაზრის თავად-აზნაურთა კრება ტფილისში მოხდება დილის 10 საათზედ დეპუტატთა საკრებულოს სადგომში, მეორისა—გორში და მესამესი—თელავში.

— ჩვენ გავიგეთ, რომ ქართლ-კახეთის საეპარქიო სასკოლო საბჭოს და საეკკლესიო სიძველეთ-საცავის კომიტეტის თავმჯდომარეთ ინიშნება ყოვლად-სამღვდელო დიმიტრი, ეპისკოპოსი ალავერდისა.

— ქალაქის გამგეობამ შეიწყნარა კომისიის ის წინადადება, რომ ვოდოვოზნის ქუჩას ბროსსეს ქუჩა ეწოდოს.

— ხვალ, 5 მაისს, კრება ექმნებათ პირველ საარჩევნო ნაწილის ამომრჩეველთ კანდიდატთა სიების შესაცვლელად და დასამატებლად. კრება შუადღისას მოხდება სასოფლო-სამეურნეო ბანკის სადგომში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი). ამავე დღეს კრება ექმნებათ მეორე საარჩევნო ნაწილის ამომრჩეველთ უკვე შედგენილ კანდიდატთა სიების გადასათვალიერებლად. რაც შეეხება მესამე საარჩევნო ნაწილის ამომრჩევლებს, იმათი საზოგადო კრება 12 მაისს მოხდება „ვეტცელის“ სასტუმროში, დილის 11 საათზედ.

— როგორც შევიტყევით, ქართლ-კახეთის ეპარქიის საეკკლესიო სკოლების საეპარქიო მეთვალყურის თანამდებობას, რომელიც ახლო მომავალში დაარსდება, თხოულობენ შემდეგი პირები: ერევნის სავაჟო გიმნაზიის სამღვთო სჯულის მასწავლებელი მღვდელი ქრისტეფორე ჯიოშვილი, აფხაზეთის მისიონერი მღვდელი ტარასი ივანიცკი, ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის ინსპექტორი ნ. ვ. პოლიტოვი, ქუთაისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი დობროლოვსკი და ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ანტ. ნატროშვილი.

— წელს ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიაში მოსწავლენი მერვე კლასამდის უეგზამენოთ იქმნებიან გადაყვანილნი შემდეგ კლასებში წლიურ ნიშნების მიხედვით, ხოლო მერვე კლასში-კი ძველებური წესი იქმნება დაცული. ეგზამენები ამ უკანასკნელ კლასში დაიწყება 13 მაისს და გაგრძელდება ათ ივნისამდის. იმათთვის, ვისაც-კი მარტო მოწმობაზე უნდა ეგზამენის დაჭერა, ეგზამენები დანიშნულია 24 მაისს. ამ გიმნაზიაში წელს მერვე კლასს ამთავრებს სამი ქართველი: თარხნიშვილი, ერისთავი და გოგიაშვილი, ხოლო ამავე გიმნაზიაში ექსტერნებად ეგზამენს იჭერს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ხუთი მოსწავლე: გაბაშვილი, მესხიშვილი, ჯავრიშვილი, ჯავახიშვილი და სონღულაშვილი.

— ალავერდის ეპისკოპოსი ყოვლად-სამღვდელო დიმიტრი (აბაშიძე) დანიშნულ იქმნა ტფილისის ფერის-ცვალების (დარიის) მონასტრის წინამძღოლად, ხოლო ყოვლად-სამღვდელო ბენიამინე (ბურნუკოვი) შუა-მთის მონასტრის წინამძღოლად.

— ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებელში სწავლა გათავდა 29 აპრილს და ეგზამენები დაიწყო. დამთავრდება ეგზამენები ამ თვის გასულს. მისაღები ეგზამენები დაიწყება აგვისტოს 25-დგან.

— ტფილისის სასულიერო სემინარიის ახალ შენობის სააღმშენებლო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულ იქმნა ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ანტონ ნატროშვილი.

— ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის პირველ კლასსა და მოსამზადებელ განყოფილებაში ეგზამენები მოხდება 28 მაისს.

— ხვალ, 5 მაისს, დიდუბეში, იქ, სადაც დოღი იმართება, დაიწყობა ცხენების იარმუკა.

საქართველოს
ამბები

ნამდვილად შევიტყვეთ, რომ მომავალ ენკენისთვიდგან ტფილისში დაარსებული იქმნება საქართველოს საეპარქიო სკოლების მთავარი საოლქო საბჭო, რომელსაც დაექვემდებარებიან საეპარქიო სკოლების ყველა საბჭონი. საოლქო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულ იქმნება ყოვლად-სამღვდელო დიმიტრი, ეპისკოპოსი ალავერდისა.

ქუთაისში მეორე კრება ჰქონდათ ქუთაისის გუბერნიის გარდასახადთა ინსპექტორებს. კრებამ, სხვათა შორის, საჭიროდ სცნო სოფლის გამგეობაში შემოღებულ იქმნას გარდასახადთა ანგარიშ-წარმოება. კრებამ თვით სისტემა ანგარიშ-წარმოებისაც შეიმუშავა.

გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწე ი. ვ. ბუტირსკი გადაყვანილ იქმნა ახალ-სენაკის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად, არქიმანდრიტის გიორგის (ალადაშვილის) ნაცვლად, ხოლო გორში ზედამხედველის თანაშემწედ დანიშნულ იქმნა ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლათა მეორე ინსპექტორი მღვდელ-მონაზონი პიროსი (ოქროპირიძე). აზრადა აქვთ ამის შემდეგ საზოგადოებამ თავის სკოლათათვის მხოლოდ ერთი ინსპექტორი დასტოვოს ბ-ნი ევტიხი მამინაიშვილი.

ჩვენ გადმოგვცეს, რომ ერთ ქართველ ინტელიგენტს განუზრახავს შეადგინოს ამხანაგობა სოფ. ქვიშხეთში აგარაკების გასამართავად. ამ აზრის განსახორციელებლად საქმის ინიციატორს ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს ქვიშხეთის ადგილობრივ მცხოვრებლებთან, რომელნიც დიდის თანაგრძნობით მოჰკიდებიან ამ განზრახვას. სოფ. ქვიშხეთი თავის მდებარეობით და ჰავით ცნობილია საუკეთესო საagarako ადგილად.

ხვალ, 5 მაისს, ქუთაისის სკოლების მოსწავლენი და მასწავლებელნი რკინის გზით ტყიბულს წავლენ ადგილობრივ ქვა-ნახშირის მღვიმე-მაღაროების დასათვალიერებლად.

დეკანოზი ვოსტორგოვი 29 აპრილს სამეგრელოს საეკკლესიო სკოლების სარევიზიოდ წავიდა.

სადგურ სადახლოდამ გვწერენ, რომ ამ სადგურს ხშირად ესტუმრებიან ხოლმე სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედნი და სცდილობენ დატვირთულ ვაგონების გაძარცვას. 27 აპრილსაც ეწვივნენ შუაღამისას ბერდენკით შეიარაღებული ქურდები და ოთხი ვაგონი გასტეხეს და უნდოდათ საქონელი მოეტაცათ. ვაგონების დატვირთვის იჯარადარმა მალე შეიტყო ეს ამბავი, ასტეხა აღიაქოთი და ქურდები იძულებულნი იყვნენ მიმალულ-მომალულიყვნენ.

კორესპონდენციები:

ლანჩხუთის სკოლები. წარსულ სექტემბრიდგან ლანჩხუთში დაარსდა ხელ-საქმის სკოლა, რომელსაც მოზარდი ქალები უნდა მოემზადებინა, განსაკუთრებით ჭრა-კერვაში. როგორც სხვა ყველა საზოგადო საქმეს ჩვენში, ისე ამასაც პირველ დაწყებისას დიდი თანაგრძნობა მოიპოვა ყველასაგან და თხუთმეტი დღის განმავლობაში 96 მოსწავლე ქალი ჩაეწერა სკოლაში. სწავლის სასყიდელი ექვსი მანეთი დააკანონა სკოლის ხელმძღვანელმა, და აბა ვის გაუჭირდებოდა ასეთის მცირე სასყიდლის გადება, რა შეძლების პატრონიც უნდა ყოფილიყო!

სკოლა, როგორც მის წარწერიდგანა სჩანს, ექვემდებარება საქალებო სამრევლო სკოლას და შეადგენს მისს ხელსაქმის განყოფილებას. აქ არ არის წერა-კითხვის სწავლება, არამედ ქსოვისა და ჭრა-კერვისა. ამგვარ სკოლაში შეუძლებელია ისეთი წეს-რიგი, როგორც წერა-კითხვის სკოლაში და შეუძლებელია აგრეთვე იმდენ მოსწავლის მიღება, რამდენიც წერა-კითხვის სკოლაში. ხელსაქმის სკოლის ნორმა 15—20 მოსწავლეა, ისიც მაშინ, თუ ორი მასწავლებელი მაინცა ჰყავს.

ჩვენის სკოლის ხელმძღვანელებმა ან არ იცოდნენ ეს და მიიღეს ნორმაზე ხუთჯერ მეტი მოსწავლე, იმ განზრახვით, რომ მეტი ფული შემოსულიყო და მეტი ხეირი ენახათ; ან იცოდნენ და ეგონათ ვერავინ გაგვიგებს და მეტი მოსწავლეები, თუ მეტი ხეირი იქნება, რატომ არ უნდა მივიღოთო. მაგრამ არც ეს დარჩა შეუნიშნავი. ადრე გამოჩნდა სკოლის უწეს-რიგობა და დღითი-დღე იკლო მოსწავლეების რიცხვმა; ასე რომ დღეს სკოლაში 15 მოსწავლის მეტი აღარა სწავლობს. სკოლის ხელმძღვანელი ამ მცირე რიცხვს არა სჯერდება და განზრახვა აქვს სკოლა მომავალში დახუროს.

საქალებო სკოლის ხელსაქმის განყოფილებაში თუ ასე საძაგლად მოიტანა ფეხი, სამაგიეროდ თვით საქალებო სკოლა კარგ ნიადაგზედ არის დამყარებული, კარგი მომავალი უჩანს.

სკოლა, მესამე წელიწადია, რაც არსებობს; მოსწავლეთა რიცხვი 160 აღემატება, მაგრამ დღემდე ორის მასწავლებლის მეტი არა ჰყავს. თუმცა, როგორც ვიცით, სკოლას საკმარისი შეძლება აქვს, რომ მეტი მასწავლებელი იყოლიოს, მაგრამ დღემდე ამ საჭიროებისათვის ყურადღება არ მიუქცევია და თავის დანაკლულობას მასწავლებლების გადამეტებულის შრომით ასწორებს. მასწავლებელთაგან ერთი ქუთაისის საეპარქიო დედათა სასწავლებელში კურს-დამთავრებულია, მეორე-კი დაბალ სასწავლებლიდგან არის. ორივე ერთგულად და პირნათლად ასრულებს თავისს მოვალეობას.

წარსულ შემოდგომაზე სოფელმა განაჩენი დაადგინა, აეგო ამ სკოლისათვის ქვითკირის შენობა, მაგრამ, როცა საქმე ადგილის არჩევაზედ მიდგა, ზოგი ქვევით ეწეოდა, ზოგი ზევით, ამაზედ მოუვიდათ შეტაკება. ამ შეტაკებას ბოლოს ის შედეგი მოჰყვა, რომ საერთო განაჩენი, რომელიც გუბერნატორისაგან დამტკიცებულია, უარ-ჰყვეს. თუმცა დამტკიცებულის განაჩენის დარღვევა შეუძლებელია, მაგრამ, როგორც ჩვენ გავიგეთ, სოფელს თავის უარის მიზეზად განაჩენის სიყალბე მოჰყავს, ხოლო თუ ეს მართალი გამოდგა, შენობის აგება, საგონებელია, არამც თუ ახლა,—მომავალ დროისთვისაც გადრეკებული იმედი იქმნება.

ასე თუ ისე, საქალებო სკოლას უთუოდ ეშველება რამე,—ჯერ კიდევ ახალი საქმეა და თუ რამე აკლია, შეიძლება მომავალმა გაასწოროს.

დღემდე აქ არსებობდა ორ-კლასიანი სასახლო სამინისტრო სკოლა, ახლა-კი როგორც შევიტყვეთ, სამინისტროს შეუწყნარებია ლანჩხუთელების თხოვნა და ორ-კლასიანი სკოლა დაუმტკიცებია ოთხ-კლასიან სასწავლებლად, იმავე ტიპის, როგორიც ოზურგეთს აქვს. იმედია, მომავალ 4 სექტემბერში დღევანდელი სკოლა ქერქს გამოიცვლის და ჩადგება ახალ სასწავლებლის წეს-რიგში. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ აქაურის მცხოვრების მომეტებული ნაწილი ღარიბია. მათი შვილები პირდაპირ საშუალო სასწავლებელს ვერ აღწევენ, რადგანაც ეს ერთობ დიდ ხარჯს თხოულობს და ძალა-უნებურათ მახლობელ დაბალ სასწავლებელში უნდა შევიდნენ, როგორიცაა ოზურგეთისა და ფოთისა. მაგრამ მოსწავლის შენახვა არც ამ ადგილებში თხოულობს მცირე ხარჯს და ბევრისათვის ხელ-მიუწვდომელი არის. ამას იქით-კი ეს ხარჯი ყველას თავიდგან აცილებული ექნება და შინაურის დუქმით შეეძლება იმ ანგარიშების გასწორება, რასაც ფოთში და ოზურგეთში ეწევიან.

სასურველია ოთხ-კლასიან ამავე სასწავლებელთან სამეურნეო განყოფილებაც იქმნას დაარსებული, რასაც ჩემის აზრით, სოფლისაგან დიდს ხარჯს არ მოითხოვს. ლანჩხუთელები ღარიბი და შეგნებული ხალხია და არც ამ ფრიად საჭირო საგანს დასტოვებენ უყურადღებოთ. ვნახოთ!

ი. გოგიჩაიშვილი.

პანკისი (თიანეთის მაზრა). კაი ხანია რაც ბედმა ცოტა არ იყოს პანკისსაც გაუღიმა. 1892 წელს იანვრიდამ იმერეთის ეპისკოპოსმა ყ. დ. სამღვდელო ლეონიდემ, კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლათა ინსპექტორად ყოფნის დროს, დააარსა ერთ-კლასიანი სკოლა ხსენებულ საზოგადოების ხარჯზედ, გარდა მასწავლებლისათვის მოსამსახურისა და საჭირო შეშისა, რომელსაც სოფლის საზოგადოება შეჰწირა განაჩენით. სკოლის შენობა [illegible] რული, სოფლის საზოგადოებისავე ხარჯით აშენებული, რომელიც ასე თუ ისე ასრულებდა დრომდე თავის დანიშნულებას. შემდგომ 1897 წელს, როცა ე. ს. მღვდელი გრიგოლი იყო ინსპექტორად, საჭიროდ იქმნა ცნობილი სკოლის აშენება. ამას მეუფეობამ, მაშინ მხოლოდ იღუმენმა, იშუამდგომლა „საზოგადოების“ წინაშე, რომ ქვითკირის შენობისათვის საშუალო ფული გადაედებულიყო და შენობისათვის სახელმწიფო ტყიდამ ხის მასალა უფასოდ დაეთმოთ; იმავე წელს ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა: კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებამ გადასდვა ამისათვის 1400 მანეთი ფულად, ხოლო ხის მასალა შენობისათვის უმაღლესად დათმობილ იქმნა უფასოდ. სხვა-და-სხვა მიზეზების გამო სკოლის აშენების საქმე შეფერხდა 1898 წლამდე: „თქვენ გვერდი ცხვარს, ველარ გამოცხვარო“. 1898 წელს ინსპექტორად დაინიშნა ბ-ნი ე. მამინაიშვილი, რომელმაც დააგვირგვინა ჩვენის სკოლის საქმე. მოვიდა ჩვენსა 1898 წლის ღვინობისთვის [illegible], მოსძებნა საზოგადოების ყრილობა და გამოუცხადა ხალხს უმაღლესად ნაბოძები შემწეობა და საზოგადოების მოწყალება. და თან შეეკითხა, თუ რა შემწეობას ჰპირდება სოფელი თავის მხრივ ამ კეთილ საქმესთან.. სოფლის საზოგადოება დიდის აღტაცებით შეეგება ამ სასიხარულო ამბავს და თავის მხრივაც შეჰპირდა 300 მანეთს ფულად, ამაზე დააწერინა მაშინვე განაჩენი და მოაწერა ყველამ ხელი.

ახალი სკოლის აშენება უნდა იჯარით გაეცემათ, მაგრამ ფულის სიცოტავის გამო დამტკიცებულ გეგმაზედ მისი აშენება არავინ იკისრა მოიჯარადრეებიდან. მაშინ შესდგა კომიტეტი. კომიტეტში იყვნენ: მღვდელი, მასწავლებელი, მამასახლისის თანამდებობის აღმასრულებელი, დ. გ. რუსტომაშვილი და ორნი სოფლისაგან ამორჩეული კაცი. ბ-ნი ინსპექტორი თავმჯდომარე იყო კომიტეტისა, ახსენეს ღმერთი და შეუდგნენ მუშაობას [illegible] საქმეს და იმავე წლის ღვინობისთვის [illegible] შენობა მზად იყო და კურთხევის შემდეგ სწავლაც დაიწყო ახალ შენობაში.

შენობა გამოვიდა მშვენიერი, ფართო და მაღალი, ორ-ზიარა, გრამატით დახურული;—ინსპექტორს არც შემდგომისთვის მოუკლია ზრუნვა სკოლისთვის თავისი მზრუნველობა; როგორც სხვა სკოლებში, ჩვენს სკოლასაც დაარსა ბიბლიოთეკა, რომელსაც შესძინა 900-მდე რუსულ-ქართული წიგნი იმავე ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ხარჯით. როგორც ნამდვილი მეგობარი; ამგვარვე სხვა წერა-კითხვის მცოდნე ხალხიც სკოლის რაიონის, დიდის ხალისით ეტანება ქართულ წიგნებს საკითხავად და მათ ცოდნის შესაძენად [illegible] მღვდელი, რომელიც გამგეობაში იმყოფება ხსენებული ბიბლიოთეკა, ამავე მღვდლის შეგონებით ახალ სკოლის შენობაში დაარსა მან საკვირაო სკოლა და ოქტომბრიდან მსურველთ დაარიგებდა, მაგრამ სოფლების სიშორისა გამო ვეღარ მისდევს სიარული და ორის თვის შემდეგ ისევ თავი დაანებეს. სკოლის შენობის [illegible] მოსწავლეებით სავსე იყო, ასე რომ ახალ შენობაში სწავლის დაწყებიდამ აქამომდე დაარება ორმოცამდე მოსწავლე ჰყავთ და მათ შორის წელს 4 ქალი, სულ ქისტები—მაჰმადიანები და ქრისტიანები. [illegible] თავის [illegible] შენობაში სიცივისაგან განაგდებებს. [illegible]

ფელეტონი

სოფელი და სოფლელნი

წერილი მეექვსე *)

დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ჩვენს ხალხს არა აქვს კარგად შეგნებული, რა არის სამშობლო, სამშობლოს სიყვარული, ანუ ნამდვილი პატრიოტული გრძნობა. ვგონებ, ყველას შემჩნეული უნდა ჰქონდეს სოფლელთა მცირე სიყვარული სამშობლოსი და ამასთანავე უზომო სიყვარული იმ ადგილისა, სადაც დაბადებული და აღზრდილა.

ეს გრძნობა ჩინებულის სიტყვებით არის გამოთქმული თ. რ. ერისთავის ლექსში „სამშობლო ხევსურისა“:

«სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, ჩემი „სამშობლო“ ის არი!

აბა, სწორედ ეს არის დიდი უბედურობა ჩვენში, რომ ყველას სამშობლოდ მიაჩნია ის კუთხე, სადაც შობილა, აღზრდილა და უსროლია ისარი, და არა ნამდვილი საერთო სამშობლო—საქართველო.

თუ ჩვენმა ხალხმა ეს გრძნობა არ შეიცვალა და სამშობლო არ გაიფართოვა, შეუძლებელია ეკონომიურად დაწინაურება; ქართველ კაცს სამშობლო სოფლის სიყვარული მეტის-მეტად ამძიმებს.

მე ვგონებ, რომ არც ერთ ფაქტორს ასეთი დიადი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენის ხალხის ეკონომიურად დაქვეითებისა, უკან ჩამორჩენისა და წოდებათა შორის ურთი-ერთობის საქმეში.

სამშობლო სოფლის უზომო სიყვარულით ყველა თითქო მოწამლულია, როგორც მორფიით, ოპიუმით ანუ ალკოგოლით. ადამიანი ჰგრძნობს, რომ ოპიუმი, ალკოგოლი მის სხეულს ჰღუპავს, მაგრამ შეჩვეულია და არ შეუძლიან უამისოდ სიცოცხლე. ბევრი სოფლელიც დარწმუნებულია, რომ სამშობლო სოფელი ჰღუპავს, მაგრამ სხვაგან ცხოვრება ვერ წარმოუდგენია.

უცხო გვარ-ტომის ხალხს ეს გრძნობა მეტ ბარგად მიაჩნია და ამის გამო ძალიან უმსუბუქდებათ საკეთილდღეო გზის გაკვლევა; და ჩვენს ხალხს-კი, საერთო სამშობლო რომ მეტად ჰყვარებოდა, ასცილდებოდა წარსულში ბევრი რამ საუბედურო და დღესაც დაბეჩავებული არ იქმნებოდა; ამასთანავე სოფლელთა ვითარება ასეთი სავალალო და უნუგეშო არ შეიქმნებოდა.

სოფლის უზომო სიყვარული ავნებს თვით სოფელს, როგორც მშობლების უზომო სიყვარული შვილისა ავნებს თვით ამ სათაყვანო შვილს.

ბევრია სოფელში, რომელსაც ან ძალიან მცირე მიწა უჭირავს, ან არა-და არავითარი მამული არა აქვს, მაგრამ სოფელს ვერ მოჰშორებია და, თუ გაჰბედა და დროებით სხვაგან სადმე გადასახლდა, ლუკმა პურის საშოვნელად, მაინც მისი გული სამშობლო სოფლისკენ მიისწრაფვის; თუმცა საქართველოშია, მაგრამ ჰგრძნობს, რომ სამშობლოს მოშორებულია. ამიტომაც სხვა ალაგას მკვიდრად დაბინავება მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნია. ერთი მტკაველი მიწა სამშობლო სოფლისა ურჩევნია სხვაგან ათ დღიურსა და ამ ერთ მტკაველს არ გასცვლის სხვა კუთხის ფართო და შემოსავლიან ველ-მინდორზედ.

ჩვენში მარტო ხევსური არ გაიძახის:

«ბარად რომ ვიყო ლაღადა, სული მთისკენვე იხარის,
სალი კლდე ანდამატივით გულს სულ იქითკენ იხარის.
იქ მიჯობს შავი სიკვდილი, ბარში სიცოცხლეც იმწარის!..
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..»

აქ დახატულია ნამდვილი გრძნობა ქართველისა. და მერე, არის განა რამ სანუგეშო ამ გრძნობაში?! ჩემის აზრით, მგოსანი გატაცებული იყო საერთო სამშობლოთი და სწორედ ამ ნამდვილ სამშობლოს ეტრფოდა, როდესაც ანდერძივით უტოვებდა თავის მოძმეთ, რომ

„სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა!..
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“;

მაგრამ, როდესაც მოგვითხრობს პოეტი ხევსურის გრძნობას, იქ ხევსურს სულ სხვა სამშობლო ელანდება: მას უყვარს მხოლოდ ის ალაგი, სადაც შობილა, გაზრდილა და უსროლია ისარი; იმის სამშობლო ის არის. განა, პოეტის სამშობლოც ეს არის?!.

ხევსურს ბარად რომ მისცე დიდება, ქონება უთვალავია, არ ინდომებს, რადგან არ გასცვლის „თავის სამშობლოს სხვა ქვეყნის გამოთხეზედა“. განა, ბარი-კი მისთვის სამშობლო არ არის?! სულაც არა, საქართველოს ბარი ხევსურისათვის უცხო ქვეყანაა და ამიტომ „ბარში სიცოცხლეც იმწარის“.

პოეტის სამშობლოს სიყვარული სამშობლოსათვის საბედნიეროა, ხევსურის სიყვარული-კი სავალალო და ეხლანდელ დროსათვის დასაღუპავი.

უზომო სიყვარული სამშობლო მხარისა ანუ სოფლისა თავისებური რწმენაა ანუ კულტია ჩვენის ხალხისა. ქართველი ყმა არის თავის სოფლისა: მისი სალოცავი ხატი სამშობლო სოფელშია; მერე, როგორ მოიშოროს მისი რისხვა, თუ სხვაგან სადმე გადასახლდა და უღალატა თავის სალოცავს?!

ამ რწმენით აიხსნება ის მოვლენაც, რომ სოფლელნი, რომელნიც მეფის ბრძანებით ანუ თემის განაჩენით გადასახლებიან სხვა მხარეს, ვალდებულნი არიან დრო გამოშვებით ეახლონ თავის სამშობლოში სალოცავს, რადგან ხატს სამსახური ეპირება: ძღვენი უნდა ვაახლოვო, კურატი შევუთქვი, სამლოცველი უნდა მოვიმალიერო, თორემ ხატი გამირისხდება, გამიგონია ხშირად გლეხ-კაცისაგან. მეთხოვებს ხომ ადვილად არწმუნებენ ხალხს, რომ ხატი იბარებს და იმის მიზეზი გამოუცხადა და სხვა; თვით ხალხის გრძნობაც ამას მოითხოვს და მეთხოვეს სიტყვას ადვილად ირწმუნებს. ხშირად მძიმე ავადმყოფი შინ [illegible] ხატს სრულიად განკურნებული. ამის მაგალითებს ყველა მოგვითხრობს: თავადი, მღვდელი, გლეხ-კაცი და თვით ინტელიგენტი; ღრმა რწმენას ბევრი რამ შეუძლიან, რწმენა ძლიერი ძალაა, და ავადმყოფი ამ ძალით და რწმენით სნეულობისაგან იკურნება.

სოფელს ვერსად წაუხვალო, ვერსად გაქცევალო,—გაიძახის ჩვენი გლეხ-კაცი.

ჩემი სამშობლო ესა და ეს სოფელია, ერთხელ გამიგონია; თვით თავად-აზნაურთ ოჯახშიაც ხშირად გაისმის: ეს სოფელი ქალის სამშობლოა.

ამ რწმენით ჩვენი ხალხი წარსულში მედგრად ებრძოდა გარეშე მტერს და ძნელი მთის გადასახლება და გადაგვარება, მაგრამ ამასთანავე ამ გრძნობამ სხვა საუბედურო მოვლენა გამოიწვია—საქართველო ვერ გაერთიანდა და ეროვნული საერთო გრძნობა ვერ განმტკიცდა. რადგან ყველა ქართველს სამშობლოდ მიაჩნდა მხოლოდ თავისი კუთხე, ხევი, მხარე და სოფელი, რომელსაც

---

*) „ივერია“ №№ 26, 27, 37, 51, 52, 60, 65.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელსაც ცხოვრება შედარებით გაუმჯობესება, რისთვისაც სწავლა წინანდელზედ წესიერია. ახლად აყვანილმა შეგირდებმა სრულებით არ იციან ხოლმე და არც ეყურებათ, გარდა ქისტურისა, სხვა ენა, და ვიდრე ისინი ცოტ-ცოტათი მიეჩვევიდნენ სკოლის წესს და გაიგებდნენ რასმე მასწავლებლისას, მღვდელი უხსნის მათ ყოველსავე თავიანთ, ქისტურს, ენაზედ. იგივე მღვდელი ასწავლის სკოლაში ქართულ-რუსულს გალობას ეს მეცხრე წელია უსასყიდლოდ. ჯამაგირად ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებიდამ საგნების მასწავლებელს აქვს 360 მანეთი წელიწადში, ხოლო მოსამსახურე და სკოლისათვის საჭირო შეშა სოფლის საზოგადოებისა; სამღთო სჯულის მასწავლებელს აქვს 100 მანეთი წელიწადში; სწავლას იწყებენ ყოველ წლის ღვინობისთვის პირველიდამ და ათავებენ აპრილის გასულს. ამ ათის წლის არსებობის ნაყოფი სკოლისა შემდეგია: სამი დიაკვანია (მედავითნე), ერთი ექსარქიისა და ორიც ამავე საზოგადოების უწყებაში; ერთი ადგილობრივ სოფლის მწერალია და ერთიც თელავის სასულიერო სასწავლებელში სწავლობს; ორმა შარშან გაათავა და ისინიც აპირებენ სადმე სწავლის გაგრძობას, თუ მშობლებმა შემწეობა აღმოუჩინეს.

ქისტი ობანი.

რუსეთი

საერო განათლების სამინისტროს ფრიად სასურველ საქმეა უცვნია, რომ საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლებმა მოაწყონ საჯარო ლექციების კითხვა სხვა-და-სხვა სამეცნიერო საგნების შესახებ.

— საერო ჯანმრთელობის დაცვის საზოგადოების წლიურს კრებაზედ გარდაუწყვეტიათ, რომ სასურველია იუსტიციის სამინისტროში მოეწყოს საქმე იმ დანაშაულთა სტატისტიკისა, რომელიც მოქმედებულია სიმთვრალეში.

— 1 მარტს 200,000 მან. მოუგია იჯარადარს ნეკრასოვს. ნეკრასოვს ბილეთი ფულის მაგიერ მიუღია საიჯარო საქმეში.

— საერო განათლების სამინისტრომ ნება მისცა თითოეულ სამოსწავლო ოლქის მთავრობას დამოუკიდებლად გადასწყვიტონ ხოლმე, მიეცეთ თუ არა ნება-რთვა ამა თუ იმ კერძო სასწავლებელს ბავშვებისა და დიდრონებისათვის საკვირაო სკოლის გამართვისა.

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისის კონსტანტინოპოლის საელჩოს გაზეთში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი სახელმწიფოთა შესახებ. ავტორი ამბობს, რომ ინგლისი და გერმანია, შეერთებული შტატები და იტალია უეჭველად უნდა შეერთდნენ რუსეთის დასამძლევად და ასალაგმავადაო. ორთა კავშირი ვერაფერს გააწყობს და ვერას გახდება ამათთან. „რუსეთი, სწერს გაზეთი, მით უფრო გაჭირვებაში ჩავარდება, რომ ოსმალეთი, ავსტრ-უნგრეთი, რუმინია და საბერძნეთიც შეერთდებიან, რადგანაც მათაც განსაცდელი მოელით ჩრდილოელ დათვისაგან, რომელმაც განიზრახა სლავიანთა ტურებისაგან თავისებურ და განუხორციელებელ კონცერტის შედგენაო“.

— 24 აპრილს ინგლისის დეპუტატთა პალატაში ირლანდიელმა მუნეიმ ხელ-ახლა ჩამოაგდო ლაპარაკი დილლონისა და ჩემბერლენის შეტაკების შესახებ. მკითხველებს ეხსომებათ ეს შეტაკება. როდესაც ჩემბერლენი სიტყვას ამბობდა, დილლონმა სთქვა ბურთა გენერალს ვილონელზედ, რომ იგი მოღალატეაო. ამაზედ ჩემბერლენმა მიუგო, რომ „რაც შეეხება ღალატს, თქვენ ამ საქმეში გამოცდილი ხართო“. ამ სიტყვებმა ძალიან გააბრაზეს დილლონი. ირლანდიელმა მოსთხოვა თავმჯდომარეს, ჩემბერლენს შეურაცხმყოფელი სიტყვები უკანვე წაეღო, ხოლო როდესაც უარი მიიღო, ხმა მაღლა უთხრა მინისტრს: „საზიზღარი მატყუარა ხართო“. დილლონი დროებით პარლამენტიდგან განდევნეს.

დეპუტატმა მუნეიმ 24 აპრილს განაცხადა, რომ დილლონს თავმჯდომარე და პალატა უკანონოდ მოექცნენ, რადგანაც პირველად ჩემბერლენმა მიაყენა შეურაცხყოფაო. მუნეიმ მოითხოვა, რომ პალატამ თავმჯდომარეს საყვედური გამოუცხადოს, რადგანაც მან დროით არ შეაჩერა ჩემბერლენი და უკადრისი სიტყვები უკანვე არ წაადებინა. მუნეის წინადადებას მხარი დაუჭირა რედმონდმა. იმანა სთქვა, სასტიკ ზომებს პალატაში მხოლოდ ირლანდიელთა წინააღმდეგ ხმარობთ და ინგლისელებს-კი ყურადღებას არ აქცევთ. პალატამ ბოლოს, 398 ხმის უმრავლესობით 63 ხმის წინააღმდეგ, უარ-ჰყო მუნეის წინადადება. ირლანდიელებს მხარი დაუჭირა მხოლოდ ექვსმა ლიბერალმა. მათ შორის იყვნენ მუშათა წარმომადგენელნი ბერნსი და კეირ-ჰარდი. ოპოზიციის ზოგმა წევრმა კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღო. ლიბერალებმა განაცხადეს: „ჩვენის აზრით, თავმჯდომარეს უნებური შეცდომა მოუვიდა, მაგრამ ეს კიდევ ირლანდიელთა წინადადების სამართლიანობას არ ამტკიცებს. ჩემბერლენის სიტყვები,—მართალია, დიდად შეურაცხმყოფელი სიტყვები,—ორ-აზროვანი იყო, ამიტომ იგი სასჯელს ასცდა. დილლონის საქციელი-კი მოუხეშავი, აშკარა და საგრძნობელი იყო. ამ საქციელით დილლონმა პარლამენტი ტრაქტირამდე დასცა და ამიტომ დილლონის დაუსჯელობა შეუძლებელი იყო. ირლანდიელნი დეპუტატნი არაფრად აგდებენ იმ დაწესებულებას, რომელიც იმათთვის, რედმონდის სიტყვით, „უცხო-ქვეყნის“ პარლამენტია. ირლანდიელნი არ უნდა სწუხდნენ, როდესაც მათ მხარს არ უჭერენ ის დეპუტატნი, რომელთათვისაც პარლამენტი წმიდათა-წმიდაა“.

— მორგანის ახალმა სინდიკატმა ინგლისელებს სამხრეთ-აფრიკის ომიც-კი დაავიწყა. უკვე გამოუქვეყნებიათ ხელშეკრულობა, მორგანსა და ინგლისურ სანავოსნო საზოგადოებათა შორის დადებული. გემების ერთ ამშენებელ ფირმის ბელფასტში პირობაც-კი მიუცია, გემი აღარ ააგოს ინგლისისათვის. ამიერიდგან ყველგან ინგლისის დროშის ნაცვლად გემებზედ ამერიკის დროშა იქმნება. ცნობილ ამერიკელ მილიარდერს კარნეჯის, რომელიც ეს არის ეხლა ჩასულა ინგლისში, ურჩევია ინგლისელთათვის, ამის მეტი არაფერი დაგრჩენიათ, რომ ინგლისი ამერიკის კავშირს შეუერთოთ, როგორც ცალკე შტატიო.

ოსმალეთი. ამას წინად ბერლინში საყურადღებო წიგნაკი გამოსულა დ-რის რორბახისა. ავტორი, სხვათა შორის, ამბობს ოსმალეთზედ, რომ იგი რუსეთთან ომის დროს ამ 25 წლის წინად თუ დამარცხდა, ამისი მიზეზი რკინის გზების უქონლობა იყოო. საზოგადოდ ავტორის აზრით, რკინის გზების უქონლობა ყოველთვის და ყველგან ხელს უშლიდა ოსმალეთს. „როდესაც არზრუმს, სწერს ავტორი, რუსები შემოერტყნენ, მოსულიდგან ქალაქში მომწყვდეულ ოსმალთა მისაშველებლად ჯარი იქმნა გაგზავნილი, მაგრამ ეს ჯარი შვიდის თვის შემდეგ მივიდა, ე. ი. მაშინ, როდესაც ბერლინის ტრაქტატის გარდაწყვეტილებით ლორის-მელიქოვის კორპუსი არზრუმიდგან წასული იყო. მხოლოდ ომის შემდეგ შეუდგა ოსმალეთი გზების გაყვანას, მაგრამ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შესძლო სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო. შემუშავებული გეგმა რომ განეხორციელებინა და ყველა რკინის გზები და შტოები გაეყვანა, ოსმალეთს შეეძლებოდა 2—3 კვირის განმავლობაში რუსეთის საზღვარზედ მთელის ანატოლიის ჯარის, 5—6 კორპუსის, მოგროვება. ეხლა ამ ნაკლს ბაღდადის რკინის გზა შეავსებს. ამ გზას სტრატეგიულად მეტად დიდი მნიშვნელობა ექმნება ოსმალეთისათვის“.

შემდეგ ავტორი რუსეთისა და ოსმალეთის შესახებ სწერს. იმის აზრით „ოსმალეთი რუსეთს ევროპის ოსმალეთში ვერასოდეს ვერ გაუწევს წინააღმდეგობას. რუსეთის ძლიერი შავის-ზღვის ესკადრა 30—40 საათში ბოსფორთან გაჩნდება და ხელად სტამბოლს დაიჭერს. სლავიანთა სახელმწიფონი ბოლკანიაში რუსეთს მიეშველებიან. ამიტომ ოსმალეთმა მთელი თავისი ყურადღება ამას-კი არა, მცირე აზიას უნდა მიაქციოს. იმან არმენიიდგან უნდა გაუჭიროს საქმე რუსეთს.“

დასასრულ, დ-რი რორბახი სწერს: „ევროპას რომ ოსმალეთი დღე-მოკლე და რუსეთის ჩასაყლაპად განმზადებულ სახელმწიფოდ მიაჩნდეს, გერმანია არასოდეს არ შეუდგებოდა ბაღდადის რკინის გზის გაყვანას. გერმანია, რომელმაც 500 მილიონი ფრანკი გადასდო ბაღდადის გზისათვის, არავის არ მისცემს ოსმალეთის განადგურების ნებას. ამას თვით რუსეთის მოკავშირე საფრანგეთიც არ მოინდომებს, რადგანაც საფრანგეთმაც 400 მილიონი ფრანკი გადასდო იმავე გზისათვის“.

— „Polit. Corr.“-ს ატყობინებენ კონსტანტინოპოლიდან, რომ სომხებს ხელ-ახლა განსაცდელი მოელით მცირე აზიაშიო. სეერთის ოლქში ქურთები რამდენჯერმე უკვე დასცემიან სომხებს, რადგანაც ხმა გავრცელებულა, რომ მაჰმადიანებს ნება დართეს ქრისტეანეთა ამოჟლეტისაო.

ჩინეთი. ჩინგტინგფუში აჯანყება ძლიერდება. აჯანყებულნი უკვე სამ მისსიას შემორტყმიან. ამ ადგილებში 10,000 კარგად შეიარაღებული მეამბოხეა თურმე. ამბობენ, მეამბოხეთ იარაღი შანტუნგიდგან მიაქვთო. განსაცდელშია აგრეთვე კვანგუნგი და კულუ. მეამბოხენი ქრისტეანებს ამოჟლეტას ემუქრებიან. ახლანდელ აჯანყებას ორი აზრი ჰქონია. აჯანყებულთ ჰსურთ ქრისტეანებისა და მანდარინებისაგან განთავისუფლება. აჯანყების ბრალი უმთავრესად მანდარინებს ედებათ. დიდ-ძალ ფულსა ჰკრეფავენ ისინი ვითომდა მისსიების სასარგებლოდ, ნამდვილად-კი ნაწილს მისსიებს აძლევენ, დანარჩენს თითონა სჯიბავენ თურმე.

მარტინიკის კუნძული. როგორც მკითხველებს უკვე მოეხსენებათ დეპეშებიდგან, მარტინიკის კუნძულს იშვიათი უბედურება ეწვია, რომლის მზგავსიც ლისაბონის განადგურებიდგან (1755 წ.) დღემდის ევროპას აღარა ჰსმენია: ამ კუნძულის უმთავრესი სავაჭრო ქალაქი სენ-პიერი 40 ათასის მცხოვრებით, დედა-მიწის გულიდგან ამონახეთქმა ცეცხლმა და ცეცხლის ტუტამ მთლად წალეკა, მოტრუსა და გაადნო. აღნიშნული კუნძული ანტილიის მცირე კუნძულთაგანია, სძევს ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის შუა, აღმოსავლეთით და საფრანგეთის სამფლობელო ახალ-შენთა თითქმის უმთავრესს ადგილს შეადგენს ვესტ-ინდოეთში. მარტინიკის კუნძული პირველად ქრისტეფორე კოლუმბმა აღმოაჩინა 1493 წელს; საფრანგეთის ახალ-შენელთ იგი 1635 წელს დაიჭირეს და დასახლდნენ. საფრანგეთმა-კი საკუთრებად 1664 წელს შეიძინა. 1888 წ. მარტინიკის კუნძულზედ 175,000 სული სცხოვრებდა, რომელთაგანაც თეთრ-კანიანი 10,000 იყო, 131,000 შავ-კანიანი და ჩინელი 27,000. კუნძულის მთავარ ქალაქად ფორტ-დე-ფრანსი ითვლება, ხოლო ვაჭრობისა და მრეწველობის ცენტრად აწ უკვე განავლებული და ამოწყვეტილი ქალაქი სენ-პიერი ითვლებოდა დღემდის. ქალაქის უბედურება მართლაც საზარელი და იშვიათი რამ იყო: ვერავინ 40,000 მცხოვრებთაგან ცეცხლს თავი ვერ დააღწია: გემებზედაც-კი, რომლებიც იმ ჟამად ნავთ-სადგურში იდგნენ, წარმოიდგინეთ, ცოცხალი არავინ გადარჩა, ზღვამაც ვერავინ იხსნა, ისე სწრაფი და მოულოდნელი იყო ცეცხლის მფრქვევ მთებიდგან გადმოხეთქილი ცეცხლის წვიმა-სეტყვა და კვამლი. რამდენისამე წამის განმავლობაში მთელი ქალაქი ცეცხლის ტუტამ დაჰფარა.

მარტინიკის კუნძული ბუნებით მთიანი ადგილია და ცეცხლის მფრქვევ მთებით მრავლად მოფენილი, რომელთაგანაც ბევრი მთლად ჩანელებული და ჩამქრალი არის. ბოლოს დროს კუნძულზედ გრიგალი ხშირ მოვლენად გადაიქცა, რომელთაგანაც 1891 წლისამ მცხოვრებნი დიდად დააფიქრა; პირიქით, მიწის-ძვრა იშვიათი მოვლენა იყო. ცეცხლის მფრქვევი მთა, რომელმაც ქალაქი სენ-პიერი იმსხვერპლა, მარტინიკის კუნძულზედ-კი არა, მახლობლად მდებარე სენ-ვინცენტის კუნძულზედა სძევს. სენ-ვინცენტი შედარებით მცირე კუნძულია.

თეატრი და ხელოვნება.

მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენაა დანიშნული. დრამატიული დასი წარმოადგენს დრამას „ცხოვრების გმირს“ და ვოდევილს „ბედნიერ ცოლ-ქმრობას“. მონაწილეობას იღებენ ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, ბ-ნნი მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი და სხვანი.

⁂

დღეს, 4 მაისს, რკინის გზის სახელოსნოების თეატრში საინტერესო წარმოდგენაა დანიშნული. სცენის მოყვარე მომღერალნი წარმოადგენენ სრულად ოპერას „ფაუსტს“. ორკესტრს ხელმძღვანელობს ბ-ნი ფალიაშვილი. წარმოდგენის შემდეგ ცეკვა გაიმართება.

სასამართლო.

სტუდენტთა ნ. ლორთქიფანიძისა, კ. ნინიძისა, ა. კანდელაკისა და გლეხის ილია აფხაიძის საქმე.

ეს საქმე სამოსამართლო პალატამ განიხილა 2 მაისს. თავმჯდომარეობდა პალატის უფროსი თავმჯდომარე, სენატორი ბ-ნი ვრასსკი.

სტუდენტებს ჰბრალდებოდათ უწესოების ჩადენა ქუთაისში კონტრაბანდისტების წარმოდგენის დროს. აი, მოკლედ თვით საბრალმდებლო ოქმის შინაარსიც.

5 მაისს, 1901 წელს, საღამოს, ქუთაისის თეატრში ომარსკის დასმა დადგა წარმოსადგენად „კონტრაბანდისტები“ ანუ „შვილნი ისრაილისა“. როცა ფარდა ასწიეს და თამაში დაიწყეს, ერთად მსხდომმა სტუდენტებმა (10 კაცმა) ასტეხეს ისეთი ყვირილი და სტვენა, რომ პიესის მოსმენა შეუძლებელი შეიქმნა.

ეს უწესოება რომ მოხდებოდა, კარგად იცოდა ადგილობრივმა პოლიცმეისტერმა და ამიტომ რამდენისამე დღის წინად პიესის დადგმამდე გუბერნატორს მიჰმართა თხოვნით, „კონტრაბანდისტების“ წარმოდგენის ნებას ნუ დაჰრთავთო. გუბერნატორმა უარი უთხრა პოლიცმეისტერს, რომელმაც ამის გამო წარმოდგენის დღეს პოლიციის ბოქაულნი და პოლიციელნი დააყენა თეატრთან.

როდესაც სტუდენტებმა ხმაურობა ასტეხეს, პოლიციის ბოქაულმა ბ-ნმა კადიეიშვილმა სცადა მათი დაწყნარება, მაგრამ ამაოდ. სტუდენტებმა ფეხების ბრაგუნს და სკამების რახა-რუხს მოუმატეს. მაშინ ზემოდ აივანზე, სადაც სტუდენტები იყო, პოლიცმეისტერი ამოვიდა და სტუდენტებს უთხრა: „ან ხმაურობა შესწყვიტეთ, ან კარში გადითო“. სტუდენტებმა ამაზე უყვირეს: „თუ გნებავთ, დაგვატუსაღეთ, ძალით გაგვიყვანეთ, ჩვენის ნებით-კი არ გავალთ, სანამ ამ საზიზღარ პიესას სცენიდგან არ აღკრძალავთო“. სტუდენტმა ლორთქიფანიძემ ამხანაგების სახელით პარტერში გადასძახა ხალხს: „ვთხოვ პატიოსან საზოგადოებას ნუ მოისმენს ამ საზიზღარ პიესას, რომელიც დრამატიულ ხელოვნებას ჩირქსა სცხებს, ამცირებს ერს და შეურაცხჰყოფს სარწმუნოებრივ გრძნობას“. ზედვე დასძინა: „ვინც თქვენგანი პატიოსანია, თეატრიდგან უთუოდ გავა, ხოლო საზიზღარი და ფლიდი დარჩება“.

რაკი სტუდენტები ხმაურობას არ სწყვეტდნენ და თხოულობდნენ წარმოდგენის შეჩერებას, პოლიცმეისტერმა ლისოვსკიმ პოლიციელებს და უიარაღო ჯარის-კაცებს უბრძანა სტუდენტები თეატრიდგან გაეყვანათ. ამ დროს სტუდენტებმა ყვირილი მორთეს: „არ გაბედოთ მოკარება, ხელი არ გვახლოთო“. დაიწყეს ამასთანავე მუშტების, სკამებისა და ზოგმა ჯოხების მოღერება. ხმაურობა ძალიან გაძლიერდა, წარმოდგენა შეაჩერეს და ფარდა დაუშვეს. ამ არეულობაში სტ. ნ. ლორთქიფანიძემ მუშტი გაარტყა ვიღაც ჯარის-კაცს და მუშტი ჩაჰკრა პოლიციის დარაჯთა ურიადნიკს პოდპრუჟნიკოვს და სხვებს. დარაჯს კონსტანტინე ჭუბაბრიას უთქვამს: როდესაც სტ. ლორთქიფანიძე გამოჰყავდა თეატრიდგან, ვიღამაც ზურგზე ჯოხი დამცხო, მოვბრუნდი და უკან სტუდენტი ნინიძე დავინახე, რომელსაც ხელში ჯოხი ეჭირა. იმ წამსვე ჯოხი ხელიდგან გამოჰგლიჯა ჯარის-კაცმა. როდესაც პოლიციელებს და ჯარის-კაცებს, პოლიცმეისტერის ლისოვსკის ბრძანების აღსასრულებლად, სტუდენტები თეატრიდგან გამოჰყავდათ და როდესაც ყვირილი და ღრიალი ასტყდა, სტ. ალექსანდრე კანდელაკმა მიირბინა კიბესთან მდგომ პოლიცმეისტერის თანაშემწე ტატიაჩენკოსთან ამ სიტყვებით: „პოლიცმეისტერის თანაშემწევ, აივანზე სტუდენტებსა სცემენო“, ორჯელ ჩაარტყა მუშტი გულში და ხალხში გაძვრა. სტუდენტების გაყვანის შემდეგ წესი და სიჩუმე დამყარდა და წარმოდგენაც დასრულდა.

კი გარეშე მტრისა არ ეშინოდა, არაფრად სთვლიდა სხვა კუთხის დამხობას და აოხრებას თავისს ქვეყანაში. კახეთი ეომებოდა ქართლს, ქართლი იმერეთს, იმერეთი სამეგრელოს, სამეგრელო გურიას, ხევსურები ფშავლებს, თუშები ხევსურებს და სხვა; თითქმის ყოველი სოფელი სოფელს ებრძოდა.

მართალია, დღეს ასეთი დასაღუპი მოვლენა ჩვენში მოისპო და მოძმეთა შეიარაღებული ბრძოლა აღარა სუფევს, მაგრამ პროვინციალური პატრიოტობა ჯერაც არ მოსპობილა და ხშირად თავს იჩენს ხოლმე, მეტადრე მაშინ, როდესაც სხვა-და-სხვა კუთხის ანუ სოფლის წარმომადგენელნი ერთად თავს იყრიან. მაგალითად, ხატობას, ანუ როდესაც სხვა-და-სხვა სოფლელნი საჯაროდ არიან სადმე შეყრილნი, ყველა მოვალეა ქომაგობა გაუწიოს მხოლოდ თავის სოფლელს; რაც უნდა დამნაშავე იყოს, რაც უნდა სიავკაცე ჩაედინოს, მაინც ყველა მოძმე უნდა გამოექომაგოს და სხვა სოფლელთა სისხლის დაღვრაც-კი არად ჩასთვალოს.

ამასთანა ქომაგობა სავალდებულოა ჭიდაობაში, მიწების გამიჯვნისა და ანუ სხვა სადავო საქმეში.

შარებს, სიმღერას, შეჯიბრებას, დაცინვას, ტრაბახს ხშირად იარაღად ხმარობენ სხვის სოფლის, სხვის მხარის დასამცირებლად.

ყოველივე ეს გვიმტკიცებს, რომ ჩვენის ხალხისათვის წმიდათა წმიდა სოფელია და არა საერთო სამშობლო.

სწორედ ამ კულტით აიხსნება ის მოვლენაც, რომ ჩვენი ხალხი მეტის-მეტად უძრავი და მძიმე ხალხია და ვერ მოჰშორებია თავის სოფელს.

დიდი სიღარიბე და შიმშილი უნდა ეწვიოს, რომ ამერეთის გლეხ-კაცმა გაჰბედოს სხვა სოფელში დროებით მაინც გადასახლება სამუშაოდ. რაც უნდა საიმედო საქმე გამოუჩნდეს სხვაგან, თუ სოფელში ლუკმა პური ეგულება და ცოლ-შვილის გამოკვება შეუძლიან, თავის სოფელს თავს არ დაანებებს, იმიტომ კი არა, რომ შინ საქმე აქვს რამ, არამედ იმიტომ, რომ „სხვაგან რომ მისცე დიდება, ქონება უთვალავია“, არ ინდომებს, არ გასცვლის „თავის სამშობლოს“, თავის სოფელს „სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.

ამ გარემოების შედეგია, რომ სოფლელი ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაშია და ნივთიერად გაღატაკებული. თუ მიწა არ უჭირავს საკმარისი, ან სულ არა აქვს, მაინც სხვა მხარეს არ გაიხიზნება, თუნდ იქაც ქართველი ხალხი სცხოვრობდეს და მიწაც საკმარისი ეძლეოდეს; აგრეთვე არ ეტანება გარეშე რამ საქმეს (сторонніе заработки).

ამ კულტის გავლენაა, რომ არა ერთ ქართველ ოჯახში გასაოცარი და სასაცილო და ამასთანავე საუბედურო უთანხმოება სუფევს ცოლ-ქმარ შორის: ქმარს უყვარს თავისი სოფელი და იმ სოფლისაკენა აქვს გული, ცოლსაც არა ნაკლებ უყვარს თავისი „სამშობლო“ და ხშირად მთელ თავის ძალღონეს და გამჭრიახობას იმას ანდომებს, რომ ქმარს როგორმე შეუცვალოს გული მის საკუთარ სოფელზედ და თავისი „სამშობლო“, თავისი სოფელი შეაყვაროს.

ვგონებ ისიც ამ კულტის შედეგია, რომ ჩვენი ხალხი ვაჭრობას არ ეტანება და თითქმის ეზიზღება. „ქართველს გუთანიო, სომეხს დუქანიო“, გაიძახის ჩვენი ხალხი. ვაჭრობას ეჭირვება მოძრაობა. ვაჭარი იქ იწყებს საქმეს, სადაც მეტი სარგებლობა და გამორჩენაა და, თუ ბაზრის და აღებ-მიცემობის გარემოება იცვლება და ვაჭრობა საზარალოა, ვაჭარი მაშინვე ალაგს იცვლის და ფეხს იქ იკიდებს, სადაც ვაჭრობის ვითარება უკეთესია.

სოფლის უზომო სიყვარულს სხვა საუბედურო და მავნებელი გარემოებაც მოსდევს, რომელსაც შეუძლიან ჩვენი ხალხი სრულიად გაანადგუროს და ჩვენში მიწა-წყალი უცხო გვარ-ტომათა ულუფად გაჰხადოს.

სწორედ ამ უზომო სოფლის სიყვარულით აიხსნება, რომ ჩვენმა სოფლელმა—თავადმა, აზნაურმა, გლეხ-კაცმა და თითქმის ინტელიგენტმაც, ჯერ არ იცის, რა არის სასარგებლო და საზარალო საქმე, რა არის საამგო და უნაყოფო შრომა; არ იციან რამდენი შემოსავალი და რაოდენი გასავალი აქვს ამა და ამ საქმეს და, მაშასადამე, მოგებას და ზარალს არავინ ანგარიშობს. ძალიან იშვიათია და თითქმის თითით საჩვენებელი ის სოფლელი, გინდ დიდი მემამულე და ინტელიგენტიც იყვეს, რომ ჰქონდეს შემოსავალ-გასავლის „დავთარი“. ამგვარ ანგარიშს არავინ ეტანება, არავინ მნიშვნელობას არ აძლევს, არავინ არ იცის საოჯახო ბიუჯეტი; თითქმის ყველა მეტსა ჰხარჯავს თავის შემოსავალზედ და აგრეთვე გარკვეული არა აქვს, რომელი დარგი მეურნეობისა სახეიროა და რომელი საზარალო.

ყველას შრომა მხოლოდ თავის სოფელში ხვედრად და მოვალეობად მიაჩნია: ვის მოუვა ფიქრად სოფელს თავი დაანებოს და სხვა, არა-სასოფლო საქმეს ხელი მოჰკიდოს, თუ გინდ სოფლის საქმე საზარალოც იყოს და შრომაც უნაყოფო. ყველა მაინც სოფელში იღვწის იმ დრომდე, ვიდრე რამ ღონისძიება აქვს და თითქმის არავის აფიქრებს ის გარემოება, რომ მისი ნივთიერი ძალ-ღონე დღითი-დღე კლებულობს.

მერე რა, რომ სოფელი აღარიბებს სოფლელს? სამაგიეროდ მისი სალოცავი იქ არის, და სად უნდა გაექცეს თავის „სამშობლოს?!.“ ყველას სათაყვანოდ მიაჩნია პოეტის სიტყვები: „იქ (სოფელში, მთაში, თავის კუთხეში) მიჯობს შავი სიკვდილი, ბარში (სხვაგან) სიცოცხლეც იმწარის!..“

ეს საუბედურო მოვლენა ძალიან მაოცებდა და ვერაფრით ამეხსნა, მეგონა ყოველ სოფლელის ცხოვრება და შრომა ამ გვარია-მეთქი, მაგრამ, როდესაც დავაკვირდი ჩვენში სომხებს, რუსებს, მალაკნებს, დუხობორებს, ნემეცებს, ოსებს და მათი ცხოვრება შევისწავლე, დავრწმუნდი, რომ უნაყოფოთ შრომა მარტო ქართველს ეხალისება. ქართველი გლეხ-კაცი სხვაზედ ნაკლებ არა შრომობს, წელებზედ ფეხს იდგამს, მაგრამ ნივთიერად უკან-უკან მიდის. უცხო გვარ-ტომნი წინ მიისწრაფიან. თუ დარწმუნდნენ, რომ რომელიმე დარგი მეურნეობისა საზარალოა, მაშინვე თავს დაანებებენ და სხვა საქმეს შეუდგებიან; ამასთანავე თუ სოფელში საკმარისი მიწა არა აქვთ, ან უნაყოფო ნიადაგია, მაშინვე ალაგს იცვლიან და სხვა, თავისუფალ, ბარაქიან ადგილს ეძებენ და იქ ეხიზნებიან.

ამის გამო ამერეთში თავისუფალი ადგილები უცხო გვარ-ტომის გლეხ-კაცობამ ხელთ იგდო და ჩვენში მკვიდრად დაბინავდა.

მ. ტფილისელი.

(დასასრული იქნება)

როცა თეატრში უწესოება ხდებოდა, ქუჩაში შეიკრიბა ათასამდე კაცი. შეკრებილნი უსტვენდნენ და სტუდენტების გამოყვანის დროს იძახდნენ: არ დაანებოთ დასატუსაღებლად!? ამის გამო პოლიცმეისტერმა ბრძანა ხალხი დაშლილიყო, ხოლო როდესაც არ შეასრულეს, განკარგულება მოახდინა ხალხი თეატრისთვის მოეშორებინათ. ხალხის დასაწყნარებლად და წესიერების აღსადგენად პოლიცმეისტერმა ყაზახთა რაზმიდგან ორმოც და ათი ყაზახი გამოიწვია და უბრძანა ბულვარს, საიდგანაც ქვებს ისროდნენ, გარს შემორტყმოდნენ. როცა ყაზახები ბულვარს შემოერტყნენ, პოლიციელები და დარაჯები შიგ შევიდნენ ბულვარში ჩასაფრებულთა დასაჭერად. ბულვარში მყოფებმა ქვები დაუშინეს. სხვათა შორის, გრიგოლ პოლეჟაევმა შენიშნა, რომ ვიღაც ადგილობრივმა მცხოვრებმა ქვა ესროლა და მიიმალა. დარაჯმა პოლეჟაევმა და ბოქაულმა შენგელიამ სტაცეს ხელი სოფ. ლაშის მცხოვრებს გლეხს ვიღაც ილია აფხაიძეს და: შეიპყრეს, რადგანაც ხელები „ახალს ტალახში ჰქონდა მოსვრილი“, უთუოდ ესაც ქვებს ისროდაო.

ქუთაისის ოლქის სასამართლომ, როდესაც ეს საქმე განიხილა, დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი და გადაუწყვიტა ჯარიმის გადახდა: ლორთქიფანიძეს—150 მ., კანდელაკს—100 მან., ნინიძეს—50 მ., აფხაიძეს—5 მანეთი. ბრალდებულნი განაჩენს დასთანხმდნენ, ხოლო ოლქის სასამართლოს პროკურორმა განასაჩივრა იგი ტფილისის სამოსამართლო პალატაში.

პალატამ 1 მაისს განიხილა ეს საქმე. პროკურორის ამხანაგმა ითხოვა მეტად დაესაჯათ ბრალდებულნი; ამასთან დაუმატა: „ფულის გადახდევინება დასჯაა მშობლებისა და არა ბრალდებულებისა, საჭიროა ფულის გადახდის ნაცვლად, ბრალდებულნი სატუსაღოში დაპატიმრებულ იქმნენ, რადგანაც სატუსაღოს აღმზრდელი ხასიათი აქვსო“.

ლორთქიფანიძეს და კანდელაკს იცავდა ნაფიცი ვექილი ქიქოძე, რომელმაც სთხოვა პალატას სასჯელის უფრო შემსუბუქება ბრალდებულთათვის. ნაფიცმა ვექილმა ფაღავამ, რომელიც იცავდა ნინიძეს და აფხაიძეს, დასასრულ სთქვა: „ჩვენ არა გვგონია სატუსაღოს აღმზრდელი მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორც პროკურორის თანაშემწე ამბობს. ჩვენის აზრით, სტუდენტებმა რომ ფული გადიხადონ და უნივერსიტეტში ისწავლონ, ის უფრო აღზრდის, ვიდრე სატუსაღოში ყოფნაო“.

4½ საათზე სამოსამართლო პალატამ გამოაცხადა შემდეგი განაჩენი: დაპატიმრებულ იქმნენ: საპყრობილეში სტუდ. ლორთქიფანიძე და ნინიძე, პირველი 3 თვით, ხოლო მეორე 2 კვირით, პოლიციაში—სტუდ. კანდელაკი და გლეხი აფხაიძე თითო თვით.

—

გუშინ, 3 მაისს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნული იყო საყურადღებო საქმე ჭავჭავაძისა და კავკასიის სამოსწავლო ოლქის შორის 400,000 მანეთის დავის შესახებ. როგორც ვიცით, მოდავემ სულხან ჭავჭავაძემ განაცხადა, რომ ბიძაჩემი დიმიტრი ჭავჭავაძე სრულს ჭკუაზე არ იყო, როდესაც ანდერძი დასწერა, რომლის ძალითაც 400,000 მ. ეკუთვნის კავკასიის სამოსწავლო ოლქს. ამ საქმის შესახებ მოიწვიეს მოწმები 21 დეკემბერს 1901 წ. და ჩვენება ჩამოართვეს. ჩვენებიდგან საექსპერტო კომისიას უნდა დასკვნა გამოეყვანა იმის შესახებ, განსვენებული ჭავჭავაძე სიკვდილის დროს სრულს ჭკუაზე იყო, თუ არა. გუშინ პალატამ მოიწვია საექსპერტო კომისია, ჩვენება მოწმებისა წაუკითხა, მაგრამ იმათ განაცხადეს, პატარა დროა და მისთვის ეხლავე გადაჭრილს ვერას ვიტყვითო. ამიტომ საქმის გარჩევა 15 მაისისთვის დანიშნეთო.

სამოსამართლო პალატამ საქმის გარჩევა გადასდო 5 ივნისისათვის, რომელ დროსაც საექსპერტო კომისიამ თავის დასკვნა უნდა წარადგინოს პალატაში.

ნარკვევი.

სარატოვის მაზრის სიფხიზლის სამზრუნველო კომიტეტის, ერთ წევრს, გლეხს ისიდორე ე. უსაჩოვს წარუდგენია მეტად საყურადღებო მოხსენება.

როდესაც არყით ვაჭრობის მონოპოლია მთავრობის ხელში გადავიდა, დიდი იმედი იყო, რომ ეს საშუალება ზომიერების ფარგალში მოაქცევდა ამ სასმელის ხმარებას და მანამდე გავრცელებულს დამღუპველ ლოთობას საგრძნობლად შეამცირებდა; მაგრამ იმედი ნაკლებად გამართლდა. ბ-ნი უსაჩოვიც სწორედ ამ მოვლენას აქცევს ყურადღებას; მონოპოლიის შემოღების შემდეგაო, ამბობს იგი,

> „სამიკიტნოების‘ რიცხვმა არამც თუ იკლო, პროგრესიულად იმატა კიდეც; თუ მანამდე ხუთი სამიკიტნო იყო, მონოპოლიის შემოღების შემდეგ მათი რიცხვი ასამდე ავიდა;—ეს-კი ხალხს ეკონომიურად დაცემას და ზნეობრივად გახრწნას უქადის. ალბად ჩვენი ექიმებიც ატყობინებენ მთავრობას ლოთობის წყალობით ხალხის ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდნას...

ვერც საჩაიე-სამკითხველოს მოაქვს სასურველი ნაყოფი, თუმცა სოფლის კვალობაზედ რიგიანად არის მოწყობილიო: ჟურნალ-გაზეთებიც ბლომადაა და ჩაიც მხოლოდ 3 კაპიკად იყიდებაო; მაგრამ იქ ხშირად შემოდიან კარგად გადაკრულები და თავის მაგალითით გადამდებ სენსავით ჰმოქმედებენ დონარჩენებზედ, რომელნიც დროებით მაინც არიან ფხიზელნიო. მათი არ შემოშვების ნებაც არა გვაქვს, რადგან მათ ფეხზედ დგომა შეუძლიანთო. სხვა დაწესებულება ლოთობის წინააღმდეგ ჩვენ არ მიგვეპოვებაო.

> „...სასულიერო წოდებას, როგორც ხალხის მწყემსს, უეჭველია, ვალად აძევს სოფლის მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ ასეთ საქმეში; მაგრამ, რადგან ჯერ ინტელიგენტ საზოგადოებასაც ვერ შეუგნია სავსებით, თუ რა საშინელი ზარალი მოაქვს არაყს, და თავათაც მიირთმევენ, მათ არ შეუძლიანთ თავის მაგალითით დაარწმუნონ გლეხობა და სრულებით აადებინონ ხელი არაყის სმაზედ; გლეხობა სამართლიანად უპასუხებს ასეთ მქადაგებლებს, რომ თქვენ შორისაც ბლომად ბრძანდებიან ლოთები; მაშასადამე, თუ თვით ჩვენ არ დავანებებთ არაყს თავი, არამც თუ სარგებლობას ვერ მოვუტანთ ჩვენს საქმეს, პირ-იქით, ნებას მივცემთ გვისაყვედურონ, რომ ჩვენ მხოლოდ ჯილდო-საჩუქრების მიღებისათვის გვიკისრია ჩვენი სამსახური.

ვსარგებლობ კომიტეტის ნება-რთვით, რომ ჩემი აზრი გამოვსთქვა ამ საქმის შესახებ და შემდეგს მოგახსენებთო:

> სასურველია, რომ ერობის უფროსნი მზრუნველთ ნებას აძლევდნენ, შეჰყარონ ხოლმე სოფლელნი სასოფლო სამმართველოში, ან საჩაიე-სამკითხველოში და განუმარტონ მარტო არაყის დამღუპველი მოქმედება-კი არა, რაც თვითონაც კარგად უწყიან, არამედ მისცენ ნება მთავრობის წინაშე შუამდგომლობისა, რომ არა ჰსურთ თავის სოფელში იქონიონ სამიკიტნო, ან სხვა არაყის გამყიდველი დუქანი და როდესაც ამათ მოიშორებენ თავიდგან, საზოგადოებასვე მიეცეს ნება წესდების შემუშავებისა წინააღმდეგ არაყით ფარულად მოვაჭრეთა და სხვა საზოგადოების წეს-წყობილების დამრღვეველთა. მხოლოდ იქ შეიძლება სასურველი ნაყოფი გამოიღოს საჩაიე-სამკითხველოებმა, სადაც დუქან-სამიკიტნოები აღარ იქნება; თორემ რამდენსამე კაცს რომ ჟურნალ-გაზეთის წაკითხვა და რიგიანი ბაასი სურდეს სამკითხველოში, შემოვლენ არაყით გალექილები და პირველთ თავის უსაქციელობით აიძულებენ ან აჰყვნენ მათ, ან სულაც კარში გავიდნენ. ამნაირად თუ არყით ვაჭრობა არ მოისპო, ყოველივე ღვაწლი სიფხიზლის აღსადგენად ამაოდ ჩაივლის.

საკმარისია გადავათვალიეროთ ამ უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში საზოგადოების განჩინებანიო, განაგრძო უსაჩოვმა, რომ არა გვსურს სოფელში სამიკიტნოები გვქონდესო, და დარწმუნდებით, რომ ორი მესამედი მცხოვრებთა მაინც ამ აზრისა ყოფილა; უეჭველია, სხვა გუბერნიებშიაც იგივე იქნებოდაო.

1891 წ. საგუბერნიო ერობას მართლაც აღუძრავს გლეხების თხოვნით შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, მოსპეთ არაყის ხდა და ვაჭრობაო, მაგრამ

> „...ალბად, ვერც ამ თხოვნამ მიაღწია, სადაც ჯერ იყო, და უარი შემოთვალეს—საიდუმლო სამიკიტნოების გავრცელებისა გვეფიქრება, ვაი თუ უარესად გავრცელდეს ლოთობაო. მაგრამ ასეთის საკითხის გარდაწყვეტის დროს ერობის ხმოსანთ, მგონია, ვერ გამოეპარებოდა ის გარემოება, რომ სამიკიტნოების რიცხვი იმატებდა, მაგრამ ასეთ, შედარებით მცირე, ჭირთან ბრძოლა უფრო ადვილად მიაჩნდათ, რისთვისაც ერობამ საუცხოვო საშუალებანი აირჩია: სკოლები, ბიბლიოთეკები და სხ... კომიტეტმა ჟურნალ-გაზეთების საშუალებით, ან სხვა რაიმე ღონისძიებით ყოველ-მხრივ უნდა განმარტოს ეს საკითხი და როგორმე მიაღწევინოს ჩვენის ბატონის მეფის ყურამდე, რომელიც არ ინებებს თავის ხალხის ასეთ გაჭირვებულ და უნუგეშო მდგომარეობაში დატოვებას და უბრძანებს თავის ხელქვეითთ, რომ შემოსავლის სხვა წყარო აღმოაჩინონ.

დასასრულ, ავტორი თვით აღნიშნავს იმ ზოგიერთ წყაროს, რომელსაც შედარებით ბევრად მეტი შემოსავლის მოცემა შეუძლიან და ხალხიც ლოთობას ასცდება.

ყველა კაცთ-მოყვარე ადამიანი მოვალეა სრულის თანაგრძნობით მიეგებოს ბ-ნ უსაჩოვის აზრს. არყით ლოთობა მართლა დიდი ღვთის-რისხვა და უბედურებაა მთელის რუსეთის გლეხ-კაცობისათვის.

მადლობის გამოცხადება.

I

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ გვიბოძოთ ნება თქვენის პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ ბ-ნ ილიკო ქიშკარიანს, რომელმაც კეთილ ინება და მოსკოველ ქართველ სტუდენტებს ტროიცკოსავსკიდგან 100 მან. გამოგვიგზავნა ჩვენის გაჭირვებულ მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ამასთან ვიმედოვნებთ, რომ პატივცემული ქველმოქმედი, ბ. ქიშკარიანი მომავალშიაც არ დაგვივიწყებს და მასთან ერთად სხვებიც გაგვიხსენებენ.

ამხანაგების მონდობილობით:
სტ. სილოვან გაბუნია.

II

ბ-ნო რედაქტორო! ჩვენ მივიღეთ ბ-ნ მიხეილ მღებრიშვილისაგან ტფილისში შეგროვილი ოცი მანეთი ახალციხის სახალხო სამკითხველოს შენობის სასარგებლოდ; გიგზავნით სიას შემომწირველთა და უმორჩილესად გთხოვთ სამკითხველოს სამზრუნველოს მიერ უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ, როგორც ბ-ნ მღებრიშვილს შრომის გაწევისათვის, აგრეთვე შემომწირველთაც, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი ამ კეთილის დაწესებულებისათვის.

სია შემომწირველთა: მ. მღებრიშვილმა და №№-მა ორ-ორი მანეთი, ი. გომელაურმა, პ. ფალიაშვილმა, პ. გაზაროშვილმა, ბ. საადამ, სიმონ ოსკანოვმა, ლ. ნაზარაშვილმა, ალექ. ივ. კოსტანაშვილმა, მ. პარმახსიზიშვილმა, გაბრიელ მღებრიშვილმა, ნინო პარმახსიზოვმა, ალათია გოზალოვმა, ა. ნალბანდოვმა, რაფიელ გოგინაშვილმა და გიგო დათაშვილმა თითო მანეთი, იაკობ აზარიშვილმა, რაფიელ ალბერთოვმა, ბ. ტურქიევმა და დათებოვმა ათ-ათი შაური.

ღმერთმა ინებოს, რომ ბევრს წაებაძოთ ამ კეთილ მაგალითისათვის და ამით მიეცეთ საშუალება ჩვენის ღარიბ სამკითხველოსათვის, რომ რიგიან საკუთარს შენობაში მოთავსებას ღირსებოდეს.

სამკითხველოს მდივანი და ხაზინადარი ნ. ქიქოძისა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

2 მაისი.

პეტერბურგი. რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის დახმარების საზოგადოებამ გადასწყვიტა დააარსოს კომისია და ამ კომისიას დაავალოს შეიმუშაოს საგანი წვრილ მრეწველობის ბიუროს დაწესებისა და ისეთის ორგანოს გამოცემისა, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ამ მრეწველობის ინტერესებს.

ვარშავა. გუშინ მოვიდა ვარშავაში სამხედრო მინისტრი კუროპატკინი და გუშინვე გაემგზავრა პეტერბურგ-ვარშავის გზით.

ვოლოჩისკი. შაჰი ვენისკენ გაემართა.

ბელგრადი. საერო კრებაზედ ხვალ იქმნება წაკითხული მოხსენება მის მიერ არჩეულის კომისიისა სესხის პროექტის წინააღმდეგ. მოელიან კაბინეტის სამსახურიდგან გადადგომას.

რომი. გაზ. „Tribuna“-ს ცნობით, აქედგან გაემგზავრა ინგლისს ვიკარი ორანჟეს რესპუბლიკისა გაუგრენი და, როცა მიიღებს ცნობას ვატიკანიდან, რომ ზავის ჩამოგდება მოსალოდნელია, ინგლისიდან ორანჟეს გაემართება.

პარიჟი. ბრესტის მერმა გაუგზავნა დეპეშა თავად ურუსოვს და სთხოვა გარდაეცით რუსეთის იმპერატორს ადრესი ბრესტის მკვიდრთა, რომელშიაც გამოთქმულია გულწრფელი მოკითხვა პრეზიდენტის წამოსვლის გამო.

პრეტორია. ყოველ მხრიდგან მოდიან აქ ბურების დელეგატები. პირველი თათბირი იქნება ფერეენინგენს მაისის 15 (2-ს).

ლონდონი. კიტჩენერმა პირობა მისცა, რომ ფერეენინგენში იქმნებიან წარმომადგენელნი ბურთა ყველა რაზმისა. თათბირში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ბურები. როცა დამტკიცებულ იქმნებიან ის წინადადებანი, რომელნიც უნდა წარედგინოს კიტჩენერს, ალბად კონფერენცია გაგზავნის დეპუტატებს პრეტორიაში.

3 მაისი

სოხუმი. გაგრის საავადმყოფო სადგურმა დაუთმო უსასყიდლოდ რუსეთის სანაოსნო საზოგადოებას, სააგენტოს და საწყობთა გასამართავად ორი ნაჭერი მიწა.

ნოვოროსიისკი. დღეს ნაშუადღევის პირველ საათზედ გამოიარა აქედ გაგრიდან დიდმა მთავრინამ ოლგა ალექსანდრეს ასულმა მეუღლით პრინც ოლდენბურგელითურთ.

სედლეცი. საერო სიფხიზლის საგუბერნიო სამზრუნველომ გადასწყვიტა ააშენოს სახალხო სახლი. ხარჯად გადადებულია 30,933 მან.

ირბიტი. ერობამ გადასდო სურავანდის (ЦЫНга) საწინააღმდეგო ბრძოლისათვის 15,000 მან; თან ერობა შუამდგომლობს „წითელის ჯვრის“ გამგეობის წინაშე, რომ იმანაც გადასდოს რამ ამ საგნისათვის.

ვლადივოსტოკი. აპრილის 28 ორი მხეცური კაცის-კვლა მოხდა: ამოჟლეტილ იქმნა ხარბინში ოჯახი მეეროვიჩისა, მაღაზიის პატრონისა; იმანის ნავთსადგურზედ ოჯახი ტელეგრაფის მოხელის ვესლოპოლოვისა.—გუშინ სამხედრო სასამართლოში დაიწყო საქმე კაცის-მკვლელთა და მძარცველთა ბრბოსი, რომელმაც მოიქმედა იანვარში ხუთი კაცის-კვლა და თხუთმეტი ძარცვა-გლეჯა.

ახალი ბუხარა. მოვიდა ახლად დანიშნული პოლიტიკური აგენტი ლიუტში, რომელსაც დიდის ამბით მიეგება რუსეთის კალონია და ბუხარის მთავრობა.

გროდნო. დღეს, დილის 8 საათზედ მოვიდა აქ სამხედრო მინისტრი.

პარიჟი. ბრესტში მადლობა უთხრა ლუბემ საბჭოს და სთქვა: მე ერთი პირველი თანამშრომელთაგანი ვიყავი იმ საქმეში, რომელმაც უკვე მოუტანა და კვლავაც მოუტანს ჩვენს ქვეყანას შესამჩნევს სარგებლობას; ამ საქმემ უზრუნველ-ჰყო მშვიდობა და კეთილმდგომარეობა წარსულსა და აწმყოში და უზრუნველ-ჰყოფს მომავალშიაც. შარშანდელი ერთხმად გამოთქმული საბჭოთა მიერ სიხარული რუსეთის იმპერატორისა და იმპერატრიცის მიერ საფრანგეთში მოსვლის გამო დამამტკიცებელი საბუთია იმისი, რომ სწორე გზას ვადგევართ.

ლონდონი. არა მომხდარა-რა ისეთი, რაც გვამცნევდეს, რომ ვითომ მალე გათავდება ომი. საუკეთესო ღონისძიება მშვიდობის აღდგენისათვის იგივე მხნედ განგრძობაა ომისა.

პეტერბურგი. პირველი საერთაშორისო გამოფენა ისტორიულისა და ეხლანდელის კოსტიუმებისა იმართება პეტერბურგში ამ წლის ნოემბერს, ტავრიდის სასახლის დარბაზებში. ექსპონატების წაღება რუსეთის რკინის გზებით შეიძლება 50% დათმობით.

პეტერბურგის ბირჟა, 30 აპრილი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,20
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,90
ბერლინში ,, ...	46,30
პარიჟში ,, ...	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	96¾ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	98¾ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . .	94⅜ წვ გაყ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	475 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	362 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	303 გაყიდ.
4½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	89⅞ წვ. გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ...	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	445 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	172 “
ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი:

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლის

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) .	3 ს.43 წ. დღ.	11 ს.49 წ.დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს.37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) .	10 ს.2 წ. დილ.	7 ს. 43 წ.დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ.დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) . . .	7 ს. 18 წ.დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან).	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	6 ს. 57 წ.დილ.	6 ს. 22 წ.დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლელისა

ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

სამწყსოს ამბები ეკ. გაბაშვილის .	,, 30
საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	,, 60
სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა	1 მ.
მოთხრობანი დ. კლდიაშვილის. .	,,
ყოველის მხრიდგან. არბოლელის. .	,, 10
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობის	,, 50
[illegible] ნათლება, ვაჟა-ფშაველასი .	,, 15
ამბავი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	,, 15
[illegible], ვაჟა-ფშაველასი . .	,, 5
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირის	,, 30
აბო ტფილელი, ე. გ.	,, 30
Або Тифлисскій, Е. К. . . .	,, 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ .	,, 60
გიორგი და მიხეილი	,, 10
Древній Анчисхатскій соборъ.	
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანის	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძის	,, 30
ვანო, გ. აბაშიძის	1
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძის.	
Царица Тамара, М. Джанашвили	,, 50
ცისარტყელა, ავ. ცაგარელის . .	,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილის	1
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	,, 50
Карбеловъ	,, 20
დედა, ანდერსენის	,, 8
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი .	1
დაუჯდომელი წმ. ნინოსი . . .	,, 20
Двѣ святыны въ Кахетіи, Е. К.	,, 10
Давидъ Гареджели, Е. К. . .	,, 15
ეტიუდები, თ. ხუსკივაძის . .	,, 15
ელენე, მოთხრობა . . .	
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	,, 40
Назрѣвшій вопросъ, Е. К. .	,, 20
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლის .	,, 5
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ .	,, 3
ამბავი მაღლის ქვის	,, 5
ახალი სამწყსოდ, მოთხრ. ი. გოგებაშ.	,, 1
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. ,, 5
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი .	,, 4
ბზობა.	,, 1
[illegible] მოვლენანი, ს. ჯუღელის	,, 1
ბაში-აჩუკი, აკაკის. . . .	,, 3
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილის	1 მ. ,, 3
გლეხი-კაცის ისტორია, III—IV ტ.	1 მ. ,,
აღმზრდელი, აკაკის	,,
გასართობი	,, 10
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა .	,, 15
გუსტავ ვაზა	,,
პატარა დორდის თავგადასავალი .	,, 30
პატარა ვეფხვის ტყაოსანი. .	,, 25
რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილის	,, 40
სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონის და გრ. ყიფშიძის .	1
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანის. .	,, 60
საერო დღესასწაული . . .	,, 25
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р.
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ძის. .	3
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К . .	,, 30
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი .	1
თეორია სიტყვიერების, კელენჯერიძისა	4
თამარ-დედოფლის სამკაული	1
თამარ [illegible], ან. ფურცელაძის	
ისტორია ქართულ სტამბების .	
იანიჩარიდ., ნახუცრიშვილის.	
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II ნაწ. ქუთათელაძისა	,,
სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი . . .	1
სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ—სა .	,,
სამწყსოს ამბები, ეკ. გაბაშვილის.	
სუმბული, ს. ქვარიანის. .	
ტარტიუფი, თარგ. ივ. მაჩაბლისა	
უკვდავთა დადგენანი, მ. ჯანაშვილის	1
მეცნიერებისთვის წამებულნი .	
Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева	1
ნელი და პატრაში, თრ. ელ. წერეთლის	,,
ნათელა, აკაკის	,,
ნიკოლოზ ნიკოლაძე, ზ. ჭ—ის .	,,
ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი	,,
Новая постановка педагогическаго дѣла . . .	,,
სამი პოემა, ან. ფურცელაძის.	,,

Дозволено цензурою. Тифлисъ 3 мая 1902 г. Типографія А. М. Сударевой, въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.